



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ნავთობის და გაზის ინჟინერია, ბაკალავრიატი

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
07.07.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ნავთობისა და გაზის ინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამთო საქმე და მოპოვება - 0724
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული, MES 4 20 0000750410, 31/08/2020

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა ბოჭოიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რამაზ პაატაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“, ჩამოყალიბდა მოქმედი აკრედიტებული პროგრამის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების“ საფუძველზე. პროგრამა ხორციელდება ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ფაკულტეტის, უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მატერიალური ბაზა, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებას. პროგრამას ემსახურება კვალიფიციური აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისათვის.

„ნავთობის და გაზის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები - 210 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი - 15 კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის გავლას 3 კრედიტის მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას (10 კრედიტი).

მოქმედ საბაკალავრო პროგრამას „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების“ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 4 20 0000750410, 31/08/2020) მინიჭებული აქვს პირობითი აკრედიტაცია. გაცემული რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია, თუმცა პროგრამის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის, აუცილებელია ყველა იმ რეკომენდაციის შესრულება, რომელიც საბჭოს მიერ იქნა გაცემული.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 2 22 0000560174, 30/05/2022) შესაბამისად, რომლის მიხედვით განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ა) ინგა ბოჭოიძე (თავმჯდომარე); ბ) რამაზ პაატაშვილი (წევრი); გ) თამთა ცხოვრებაძე (წევრი); დ) ბაქარ დუაძე (წევრი). აკრედიტაციის ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება.

ვიზიტი განხორციელდა 7 ივლისს დღის წესრიგის მიხედვით. ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ პერსონალთან; სტუდენტებთან; კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან; უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ,

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

1.1. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2. - შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3. - შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2 - არ შეფასებულა მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა, რადგან წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა.

სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

5.1. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. - შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

კომპონენტი 1.1

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები და განისაზღვროს იმ უნარების და კომპეტენციების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთან თავსებადობა;
- პროგრამის მიზნებში აისახოს ცოდნის და უნარების ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასების საკითხებს, რასაც პროგრამა, სტრუქტურულიდან და შინაარსიდან გამომდინარე, რეალურად აძლევს სტუდენტებს.

კომპონენტი 1.2

- სწავლის შედეგებში გაიწეროს შესაბამისი ცოდნისა და უნარების ის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის და გაზის მარაგების შეფასებასთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 0724 დეტალური სფეროს შესაბამისად;
- გასწორდეს შეუსაბამობები მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგების განსაზღვრისას, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის შესაბამისად;
- გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;
- გადაიხედოს პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მექანიზმი და შემუშავდეს ის თითოეული სწავლის შედეგისათვის.

კომპონენტი 2.2

- გასწორდეს პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, როგორც პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი, მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების: „საწარმოო პრაქტიკა“ და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ კრედიტების მოცულობა, სწავლის შედეგები და შინაარსი;
- გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული საკითხების გადაფარვები.

კომპონენტი 2.4

- განახლდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები და მიეთითოს „ნავთობის და გაზის ინჟინერიის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა, სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

კომპონენტი 2.6

- რეკომენდებულია, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები, გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.

კომპონენტი 4.4

- პროგრამის ბიუჯეტში, შემოსავლები აღებული იქნას რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და განისაზღვროს შესაბამისი დამატებითი რესურსები.

კომპონენტი 5.1

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გააქტიურება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებისა და მიზნების შესაბამისად ფორმირების უზრუნველსაყოფად.
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა დაგეგმოს და განახორციელოს, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების შესაბამისი აქტივობები.

კომპონენტი 5.2

- რეკომენდებულია, პროგრამა რეგულარულად იყენებდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს და უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

კომპონენტი 5.3

- პროგრამის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს კომპლექსურად, როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმების გამოყენებით, პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.1

- სასურველია, შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და განისაზღვროს განვითარების შესაძლებლობები ამ მიმართულებით.

კომპონენტი 1.2

- სასურველია სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და აკადემიური პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესება სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მექანიზმებთან მიმართებაში.

კომპონენტი 2.2

- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსებიდან განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები;
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის ფორმირების პროცესში;
- სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ სხვა უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა.

კომპონენტი 2.3

- სასურველია, გასწორდეს ტერმინოლოგიური უზუსტობები პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კომპონენტი 2.4

- სასურველია, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებში არსებული ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობებში შესახებ, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას;
- სასურველია, სასწავლო კურსების „ნავთობქიმიის საფუძვლები“ და „ნავთობის და გაზის ქიმია“ ლაბორატორიული მეცადინეობების განხორციელებისას საუნივერსიტეტო რესურსების გამოყენება;
- სასურველია გაიზარდოს პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის მაჩვენებლები.

კომპონენტი 2.5

- ვინაიდან, სასწავლო კურსები მეტწილად ფოკუსირებულია ორი მეთოდის ირგვლივ, სასურველია, სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა მეტად იყოს უზრუნველყოფილი მეთოდების სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.

კომპონენტი 4.3

- სასურველია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ზოგიერთი სასწავლო კურსის განხორციელების ადგილის დაზუსტება.

კომპონენტი 5.3

- სასურველია, შემუშავდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზის დოკუმენტი.

- **ექსპერტთა ჯგუფის პასუხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასზე:**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს შემუშავებულ რეკომენდაციებს, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს გაცემულ რეკომენდაციებს და რჩევებს, რომლებიც პროგრამას გაუმჯობესებას და შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი სტუდენტური პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და შესაბამისი სერვისების მიწოდებას, როგორც სასწავლო პროცესის და საუნივერსიტეტო აქტივობების, ისე დასაქმების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ინჟინერია“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზნებია „მომზადოს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ნავთობისა და გაზის ინჟინერიის სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება“. პროგრამის მიზნებში განსაზღვრული: „მისცეს სტუდენტს ფართო განათლება ზუსტ, საბუნებისმეტყველო, ზოგად საინჟინრო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რთულად მისაღწევი იქნება. ვინაიდან, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსები და შესაბამისი კრედიტები ვერ უზრუნველყოფს ფართო ცოდნის მიცემას პროგრამის კურსდამთავრებულთათვის, ასევე პროგრამის მიზნის განსაზღვრა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფართო ცოდნის მიცემასთან დაკავშირებით. ეს მიმართება არ არის „0724 - სამთო საქმე და მოპოვება“ დეტალური სფეროს მიზანი. ამასთან, პროგრამის მიზნებში არ არის მითითებული ცოდნის და უნარების ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასების საკითხებს, რასაც პროგრამა სტრუქტურულად და შინაარსიდან გამომდინარე რეალურად აძლევს სტუდენტს. პროგრამის შესავალ ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქტუალობის დასაბუთებას, რაც ადასტურებს პროგრამის მნიშვნელობას სფეროს და რეგიონის განვითარებისათვის. შესაბამისად, გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საერთაშორისო ტენდენციები. წარმოდგენილია ცხრა პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები და შესაბამისი ანალიზი. კითხვარი ორიენტირებულია პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებაზე და დამსაქმებლების საჭიროებებზე. აღნიშნულია თანამშრომლობის გაფართოების საჭიროება, მათ შორის სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და მათი ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა ამ მიმართებით. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები განხილული იქნა ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. დამსაქმებლებმა ინტერვიუს პროცესშიც დაადასტურეს პროგრამის საჭიროება და მათი ჩართულობის შესაძლებლობები პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად პროგრამის მიზნებში განისაზღვრა - პრაქტიკულ

საქმიანობაზე ორიენტირებული ნავთობისა და გაზის ინჟინერიის სპეციალისტის მომზადების აუცილებლობა, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ბსუ-ს მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. კერძოდ, უნივერსიტეტის მისიის შემდეგ მიმართებასთან: „მომზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება“, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანი 2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული, რომლის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა: „საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა“. პროგრამა შესაბამისობაშია ტექნოლოგიური ფაკულტეტის მისიასთან და ხედვასთან. კერძოდ, „ფაკულტეტზე უნდა შემუშავდეს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შრომის ბაზარზე (შედეგზე) იქნებიან ორიენტირებული. ე. ი. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს ნაკარნახევი რეგიონის ძირითად სამშენებლო, სამრეწველო და გადამამუშავებელ დარგებში საინჟინრო-ტექნოლოგიურ კადრებზე არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.“

პროგრამის მიზნების ზოგად საკითხებში არ არის ასახული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, თუმცა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა (4.2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია) და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ითვალისწინებს, ამ მიმართულებით პროგრამების განვითარებას.

მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საბაკალავრო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“;
- ტექნოლოგიური ფაკულტეტის მისია, ხედვა და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- ბსუ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები და განისაზღვროს ის, იმ უნარების და კომპეტენციების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთან თავსებადობა;
- პროგრამის მიზნებში აისახოს ცოდნის და უნარების ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასებას საკითხებს, რასაც პროგრამა სტრუქტურულიდან და შინაარსიდან გამომდინარე რეალურად აძლევს სტუდენტებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და

განისაზღვროს განვითარების შესაძლებლობები ამ მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან იმ მიმართებით, რომელიც უკავშირდება ნავთობის და გაზის ინჟინერიის სპეციალისტის მომზადებას და იმ ძირითადი სასწავლო კურსების საფუძვლების შესწავლას, რომელიც დაკავშირებულია ნავთობის და გაზის ძებნა-ძიების, ბურღვის, მოპოვების, შეკრება-მომზადება-ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიებთან, ასევე ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების მოწყობილობა-დანადგარების, რეზერვუარების, მილსადენების, შენობა-ნაგებობების შესწავლასთან. თუმცა, ისევე როგორც მიზნების შემთხვევაში სწავლის შედეგებში არ არის გაწერილი შესაბამისი ცოდნისა და უნარების ის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის და გაზის მარაგების შეფასებასთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია 0724 - დეტალური სფეროსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპეტენციასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემული აკრედიტაციის საბჭოს მიერ მოქმედი პროგრამის შემთხვევაშიც. მარაგების შეფასების საკითხებთან დაკავშირებით შესაბამის კომპეტენციებს პროგრამა რეალურად აძლევს სტუდენტებს, მათ შორის სასწავლო კურსით „ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა“. რიგ შემთხვევებში სწავლის შედეგები ფორმულირებულია იმ სახით, რომ რთულია მათი გაზომვა. მაგალითად, „აწნობიერებს სოციალურ-კულტურულ ფასეულობებს“. ასევე, სწავლის შედეგი 5. - მიხედვით: „ქმნის ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიების, ბურღვის, დამუშავების, შეკრება-</p>

მომზადება-ტრანსპორტირების, ნაგებობა-აღჭურვილობის, ნ/გ გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს და პროექტებს“, ხოლო სწავლის შედეგი 6. - შესაბამისად: „ახორციელებს ნავთობისა და გაზის მოპოვება-შეკრება-ტრანსპორტირებისა და ნავთობტერმინალების ექსპლუატაციას წინასწარგანსაზღვრული მითითებებისა და პროექტის შესაბამისად“, რაც გარკვეულ შეუსაბამობას წარმოადგენს.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის რეალური ანალიზი და იმ კომპეტენციების მიცემა კურსდამთავრებულთათვის, რასაც ითხოვს დამსაქმებელი, იმის გათვალისწინებითაც, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კარგი კავშირები დამსაქმებლებთან და თანამშრომლობისთვის მზაობა ორივე მხრიდან არსებობს. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სწავლის შედეგებს იცნობენ დამსაქმებლები და სტუდენტები. სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი საჭიროებს მეტ მხარდაჭერას ტრენინგების თუ სამუშაო შეხვედრების გზით.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ბსუ-ში ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების: „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, რომლის მე-4 მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტი „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია დამტკიცებული დადგენილება. დადგენილების მე-7 მუხლი ითვალისწინებს: „პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უნდა განხორციელდეს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.“ სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა შეფასება).

საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ნავთობის და გაზის ინჟინერია“ შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომლის მიხედვით გაწერილია, რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში მითითებულია, რომ მეოთხე სემესტრის სასწავლო კურსი პირველი დონით გადის მაგალითად პირველ სწავლის შედეგზე, ხოლო მესამე სემესტრის სასწავლო კურსი მეორე დონით იგივე სწავლის შედეგზე. ასევე, მეექვსე სემესტრის სასწავლო კურსი მესამე დონით გადის მეცხრე სწავლის შედეგზე, ხოლო მეერვე სემესტრის სასწავლო კურსი მეორე დონით იგივე სწავლის შედეგზე. მნიშვნელოვანია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ რეალურად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე.

პროგრამას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის მიხედვით

განსაზღვრულია, რომელ სემესტრში, რომელი სასწავლო კურსის შეფასება განხორციელდება, თითოული სწავლის შედეგისთვის. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, მითითებულია სამი სამიზნე ნიშნული, მაგალითად, „ნავთობისა და გაზის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა. სწავლის შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ სავალდებულო სასწავლო კურსების შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე სტუდენტთა 80 % მიიღებს დადებით შეფასებას.“, ასევე განსაზღვრულია საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაშიც, თუმცა ამ ჩანაწერიდან ვერ ირკვევა, რა არის სამიზნე ნიშნული თითოული სწავლის შედეგისთვის. მნიშვნელოვანია, შემუშავებული მექანიზმები გამოყენებული იყოს თითოული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისათვის.

ბსუ-ს განახლებული წესის მე-8 მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურას, რომელიც ხორციელდება პროგრამის შეფასების საფუძველზე. მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გაუქმების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის შესწავლას, მატერიალური რესურსის შეფასებას, აკადემიური და სამეცნიერო რესურსის შეფასებას, პროგრამის ფინანსური მდგრადობის ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“;
- სწავლის შედეგების რუკა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #06-01/54, 14 ივლისი, 2022 წელი „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი“;
- ბსუ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგებში გაიწეროს შესაბამისი ცოდნისა და უნარების ის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის და გაზის მარაგების შეფასებასთან, სწავლების სფეროების კლასიფიკატორის 0724 დეტალური სფეროს შესაბამისად;
- გასწორდეს შეუსაბამოებები მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგების განსაზღვრისას, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის შესაბამისად;
- გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;
- გადაიხედოს პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მექანიზმი და შემუშავდეს ის თითოული სწავლის შედეგისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და აკადემიური პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესება სწავლის

შედეგების ფორმირებისა და შეფასების მექანიზმებთან მიმართებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს. კერძოდ, „პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე“. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია და ითვალისწინებს პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.</p> <p>მოქმედი საბაკალავრო პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, საჯაროა და ხელმისაწვდომია. ასევე, ბსუ-ში რეგულარულად ტარდება ღია კარის დღეები აბიტურიენტებისათვის და ვებ-გვერდზე ატვირთულია პრეზენტაციები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • ბსუ-ს ვებ-გვერდი (ღია კარის დღეები, საინფორმაციო პრეზენტაცია).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“ შედგენილია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების: „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. პროგრამის მოცულობა შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან. კერძოდ, პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები - 210 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი - 15 კრედიტი. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით არ არის იდენტიფიცირებული სავალდებულო კურსებიდან რომელია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები. პროგრამის შინაარსი ძირითადად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ძირითადად თანმიმდევრულია, თუმცა არის გარკვეული უზუსტობები. კერძოდ, საწარმოო პრაქტიკას არ აქვს განსაზღვრული წინაპირობა, ასევე, საბაკალავრო ნაშრომს განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ტერმინალების ექსპლუატაცია“. პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგების რუკა ასევე მოსაყვანია შესაბამისობაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრულობა. ასევე, საწარმოო პრაქტიკას, რომელსაც სასწავლო გეგმაში არ აქვს წინაპირობა, სილაბუსში განსაზღვრული აქვს „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, რომელიც იმავე სემესტრის სასწავლო კურსია.

პროგრამის სტრუქტურა 15 კრედიტის მოცულობით ითვალისწინებს ინგლისური ენის შესწავლას. დამსაქმებლების მხრიდან ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა კურსდამთავრებულების უცხო ენის კომპეტენციის გაუმჯობესება, ასევე სასურველია შეთავაზებული იქნას სხვა უცხო ენა, რაც კურსდამთავრებულების მიერაც დადასტურდა. ასევე, დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს გარემოს დაცვის მიმართებით კომპეტენციების გაუმჯობესების საკითხსაც, რომლისთვისაც პროგრამაში მხოლოდ 3 კრედიტია განსაზღვრული, ასევე არასაკმარისია საწარმოო პრაქტიკისთვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობაც. შესაბამისად, გამოკვეთა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) მეტი ჩართულობის აუცილებლობა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის განსაზღვრისას.

მოქმედი პროგრამის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- საბაკალავრო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გასწორდეს პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, როგორც პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსებიდან განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები;
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის ფორმირების პროცესში;
- სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ სხვა უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რასაც ადასტურებს სწავლის შედეგების რუკა. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია სასწავლო კურსების შენაარსთან, მაგრამ არის გარკვეული საკითხები დასაზუსტებელი. მათ შორის, სასწავლო კურსში „ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა“ შედეგებში

მითითებულია „შეუძლია ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვა და სარეწაო გეოფიზიკური კვლევების ჩატარება“, აღნიშნული შედეგის მიღწევა რთული იქნება სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ამავ კურსის სწავლის შედეგის: „არსებული თეორიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით გარემოზე ზემოქმედებისა და უსაფრთხოების დონის შეფასება“ ვერ მიიღწევა; „ნავთობის და გაზის ქიმიის“ (მეოთხე სემესტრი) სწავლის შედეგი „ავლენს პროფესიულ ცოდნას გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში, გააჩნია სწავლის პროცესის დაგეგმვის, დროის სწორად განაწილებისა და გამოყენების უნარი“ გარდა იმისა, რომ ამ სასწავლო კურსის შინაარსით ვერ მიიღწევა, ამ თემატიკის სასწავლო კურსები მეორე სემესტრშია გათვალისწინებული; სასწავლო კურსი „ნავთობის და გაზის გეოლოგია“ სწავლის შედეგი „შეუძლია არსებული თეორიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით გარემოზე ზემოქმედებისა და უსაფრთხოების დონის შეფასება; გააჩნია სწავლის პროცესის დაგეგმვის, დროის სწორად განაწილებისა და გამოყენების უნარი“ კურსის შინაარსით ასევე ვერ მიიღწევა. გადასახედია სასწავლო კურსის „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, როგორც სწავლის შედეგები, ასევე კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა. მათ შორის სწავლის შედეგები: - „შეუძლია სამეცნიერო ტექნიკური ლიტერატურიდან ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ჩამდინარე წყლების გასუფთავების სქემებისა და მოწყობილობა-დანადგარების მუშაობის სპეციფიკაზე ინფორმაციის შეგროვება, მისი შეფასება და ადეკვატური ინტერპრეტაციას ადამიანის ჯანმრთე-ლობის და გარემოს დაცვის გათვალისწინებით“, „შეუძლია საწარმოო ნარჩენების უტილიზაციისათვის საჭირო სქემების შერჩევა“. სასწავლო კურსი „თეორიული მექანიკა“ სწავლის შედეგი ისევ არის შესასწორებელი: „აქვს: მშენებლობის საბაზო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების ცოდნა“, ასეთ ცოდნას კურსი ვერ მისცემს და არც არის მიზანი. ასევე შესასწორებელია „მასალათა გამძლეობის“ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები.

თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ძირითადად შეესაბამება კურსის შინაარსს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ადეკვატურია. საწარმოო პრაქტიკისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია 3 კრედიტი (75 საათი), ხოლო სილაბუსში მითითებულია 5 კრედიტი (125 საათი). მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, რეკომენდირებული იყო საწარმოო პრაქტიკის კრედიტების გაზრდა, წარმოდგენილ პროგრამაში კრედიტების რაოდენობა და შესაბამისი საათები შემცირებულია.

გადასახედია სასწავლო კურსის „ნავთობქიმიის საფუძვლები“ კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი და კურსის დასახელება. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს საკითხების გადაფარვას. კერძოდ, სასწავლო კურსებში „ნავთობისა და გაზის გეოლოგია“ და „ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა“ სალექციო კურსში და პრაქტიკულ სამუშაოზე ერთიდაიგივე საკითხებია მითითებული. ასევე, „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება“ და „ნავთობის და გაზის ქიმია“.

სასურველია დაიხვეწოს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების მიხედვით გამოყენებული ტერმინოლოგია. მაგალითად, სასწავლო კურსში „ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა“ გამოყენებულია ტერმინი „კარბონატული და დაბზარული კოლექტორები“. ნავთობისა და გაზის მიმართულებით ტერმინი „დაბზარული“ არ გამოიყენება, სასურველია მის მაგივრად გამოყენებული იქნას ტერმინი „ნაპრალოვანი“.

სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაშია კურსის

შინაარსთან და სფეროს აქტუალურ საკითხებთან. ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა სალექციო კონსპექტები, რომლებიც მითითებულია სავალდებულო ლიტერატურად. ყველა ეს მასალა მოწოდებული იქნა ექსპერტთა ჯგუფისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- საბაკალავრო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი, მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების: „საწარმოო პრაქტიკის“ და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ კრედიტების მოცულობა, სწავლის შედეგები და შინაარსი;
- გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული საკითხების გადაფარვები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გასწორდეს ტერმინოლოგიური უზუსტობები პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორც სასწავლო კურსებში გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით, ასევე საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებით. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით სტუდენტი სისტემატიზაციას უკეთებს და აღრმავებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადაიხედა „სამთო და გეოინჟინერიის“ პროგრამის კურსდამთავრებულთა საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები და საბაკალავრო ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა გაუმჯობესებას საჭიროებს, ასევე მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, რაც გააუმჯობესებს საბაკალავრო ნაშრომების ხარისხს.

ბსუ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის კვლევით პროექტებში, ხოლო შედეგები წარადგინონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე. ადმინისტრაციისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან აქვთ ხელშეწყობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რეგიონული დონის კვლევით პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში. თუმცა ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების საერთაშორისო მობილობით სარგებლობის მონაცემები არ გვაქვს.

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის (Fab Lab) განთავსებასთან დაკავშირებით), (2015 წ.);
- ქალაქ ბათუმის მერია (2010 წ.)
- შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი (2010 წ.)
- შპს „ბათუმის წყალი“ (2012 წ.)
- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (2010 წ.)
- სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ (2011 წ.)
- „Tuski Geology Group“ (2021 წ.)

წარმოდგენილი მემორანდუმებიდან მხოლოდ „Tuski Geology Group“-თან გაფორმებული მემორანდული ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას, თუმცა აღნიშნული მემორანდუმით გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ ფარგლებში თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ და ითვალისწინებს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას, აუცილებელია მათი განახლება და „ნავთობისა და გაზის ინჟინერიის“ პროგრამის გათვალისწინება მემორანდუმის საგანში, სტუდენტთა რაოდენობის მითითებით.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების „ნავთობქიმიის საფუძვლები“ და „ნავთობის და გაზის ქიმია“ ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების ადგილად ინტერვიუს პროცესში აღინიშნა პარტნიორი ორგანიზაცია, თუმცა წარმოდგენილი მემორანდუმი ამ სასწავლო კურსების მათ ბაზაზე განხორციელებას არ ითვალისწინებს. გასატვალისწინებელია, რომ ბსუ-ს აქვს შესაბამისი ბაზა აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების და აუცილებელია პროგრამის ფარგლებში ამ რესურსების გამოყენება და

შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მასალები;
- საბაკალავრო ნაშრომები;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ბსუ-ს ვებ-გვერდი (საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები) <https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- განახლდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები და მიეთითოს „ნავთობის და გაზის ინჟინერიის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა, სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებში არსებული ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობებში შესახებ, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას;
- სასურველია, სასწავლო კურსების „ნავთობქიმიის საფუძვლები“ და „ნავთობის და გაზის ქიმია“ ლაბორატორიული მეცადინეობების განხორციელებისას საუნივერსიტეტო რესურსების გამოყენება;
- სასურველია გაიზარდოს პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის მაჩვენებლები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში მოცემული სწავლის მეთოდების ანალიზის შედეგად, დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის სწავლის მეთოდების შესაბამისობა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ცოდნის გამომუშავებასთან და ასევე, უმაღლესი განათლების საფეხურთან.

სწავლება-სწავლის მეთოდები ეფუძნება სააუდიტორიო, სასწავლო პრაქტიკასა და სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას. სააუდიტორიო სწავლება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგებიდან გამომდინარე, მოიცავს მასალის ვერბალურ, ზეპირსიტყვიერ გადმოცემას, დისკუსიას, დემონტრირებას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და სხვ. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე გამოიყენება ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; პროექტზე მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ახსნა-განმარტება; წიგნზე/წყაროზე მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები; პრეზენტაცია.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამ მიზნით ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზით, მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით.

სწავლების მეთოდების შერჩევასა სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირების მიერ გათვალისწინებულია მეთოდების შესაბამისობა დასახულ მიზანთან, სწავლების მეთოდებისა და სტუდენტთა გამოცდილების ურთიერთმიმართება, საჭირო რესურსები, მათ შორის დროითი და ტექნიკური. თუმცა, სასწავლო კურსები მეტწილად ფოკუსირებულია ორი მეთოდის ირგვლივ, კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. სასურველია, სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა მეტად იყოს უზრუნველყოფილი მეთოდების სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან, სასწავლო კურსები მეტწილად ფოკუსირებულია ორი მეთოდის ირგვლივ, სასურველია, სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა მეტად იყოს უზრუნველყოფილი მეთოდების სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან

შესაბამისობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია.</p> <p>შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, პრეზენტაცია და ა.შ) გამოკითხვა. დასკვნითი გამოცდის ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების აბსოლუტურ უმრავლესობაში გვხვდება ქულების გადანაწილების შემდეგი სისტემა - 20 ქულა ეთმობა შუალედურ გამოცდას, 40 ქულა დასკვნით შეფასებას და 40 ქულა მიმდინარე შეფასებას, რომელიც სხვადასხვა სასწავლო კურსების მიხედვით მოიცავს შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებს. მიმდინარე შეფასება, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების კომპონენტები უმეტესად უნიფიცირებულია და შეფასების კრიტერიუმები უმრავლესი სასწავლო კურსისათვის იდენტურია. რეკომენდებულია, აღნიშნული</p>

შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები, მიმდინარე შეფასების ერთ-ერთ ფორმად განხილულია ზეპირი გამოკითხვა ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარებისას და მოიცავს ორი სახის შეფასებას: 1. აქტივობა (ლაბორატორიულზე) – 10 ქულა; 2. სხვა (უნარები) – 10 ქულა; თუმცა ამ შემთხვევაში არ არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რა შემთხვევაში მიიღებს სტუდენტი 10-ს, 5-ს და ა.შ. შესაბამისად, ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასებისას, მნიშვნელოვანია შესაბამისი კრიტერიუმების გაწერა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაინტერესებული მხარეები ფლობენ ინფორმაციას შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ. ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ამასთან, უნივერსიტეტს დანერგილი აქვს შეფასებისა და უკუკავშირის გაზიარების ეფექტური მექანიზმები. შეფასების ობიექტურობის მიზნით, საგამოცდო ნაშრომები დაშიფრულია და ამასთან, ბსუ-ს ელექტრონული პორტალის მეშვეობით, ლექტორის მიერ შეფასების ასახვისას აუცილებელია უკუკავშირის გაზიარება სტუდენტისათვის. სტუდენტები ასევე ინფორმირებულნი არიან აპელაციის წესისა და მექანიზმების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას. საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა, რომელიც ნაწილდება კომპონენტების შესაბამისად - კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასება (მიმდინარეობის შეფასება ხელმძღვანელის მიერ და რეცენზენტის შეფასება) ფასდება მაქსიმუმ 60 ქულით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების ეთიკური ნორმების და სტანდარტების დაცვას პლაგიატის პრევენციული ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით ხდება სტუდენტებისა და პერსონალის სისტემატიური ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დადგენილება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები, გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი პირველკურსელებისათვის მართავს საორიენტაციო ღონისძიებებს, რის დროსაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობას, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ და ატრენინგებენ ონლაინ სისტემის portal.bsue.edu.ge-ს გამოყენებაში. ბსუ-ს სტუდენტს აქვს საშუალება ფაკულტეტის და ბსუ-ს არსებულ მოთხოვნათა

შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიიღოს საჭირო ინფორმაციები, კონსულტაციები და დახმარებები, როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალისაგან. ბსუ-ს ნავთობისა და გაზის ინჟინერიის პროგრამის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მოხილობის, ღონისძიებების, კონფერენციების პროცესში. თუმცა, ინტერვიუების დროს, ამ შესაძლებლობების გამოყენება არც ერთი სტუდენტის შემთხვევაში არ დადასტურდა.

უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებასა და კარიერული წინსვლაზე, თუმცა კონკრეტულად ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი მუშაობს საკუთარი პროფესიის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს მათ გამოთქვეს სურვილი და საჭიროება შესაბამის სფეროში განათლებული ახალგაზრდების დასაქმებისა.

ბსუ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (portal.bsu.edu.ge; spm.bsu.edu.ge) , რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით. ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების და ლაბორატორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ბსუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებს უტარდებათ გამოკითხვები, რისი საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეაჯამონ და შეაფასონ განვლილი სემესტრი, საგნები, ლექტორები და სწავლის მეთოდიკა. გამოთქვან საკუთარი სურვილები რაიმე ასპექტის გაუმჯობესების შესახებ. სურვილის შემთხვევაში ლექტორები სტუდენტებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც უტარებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტური პორტალი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი სტუდენტური პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და შესაბამისი სერვისების მიწოდებას, როგორც სასწავლო პროცესის და საუნივერსიტეტო აქტივობების, ისე დასაქმების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
-----------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“ განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 9 ასისტენტ პროფესორი და 8 მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულნი არიან ბსუ-ს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. მათ შორის, აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად, კონკურსის წესით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის კომპეტენცია შესაბამის დარგში, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმების სქემის მიხედვით, და აფილიაციის წესის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში არსებობს „ა“, „ბ“ და „გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა: დატვირთვა „ა“ კატეგორიისთვის შემდეგნაირად არის განსაზღვრული: პროფესორი - 280 სთ; ასოცირებული პროფესორი - 330 სთ; ასისტენტ-პროფესორი - 350 სთ; ასისტენტი - 370 სთ.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, განისაზღვრება ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლიც არის შემდგომ საფუძველი კატეგორიების მიხედვით, აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის განსაზღვრისათვის. აკადემიური დატვირთვის განაწილების და რექტორის შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველია, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინება და დეკანის სამსახურეობრივი ბარათი. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა შემესტრუადა განახლებადია.

ამჟამად პროგრამას ყავს 4 სტუდენტი, შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან არის 29/4. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი არის 21/8, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აკადემიური დატვირთვის გარდა, ჩართულია სტუდენტების კონსულტაციების და სხვადასხვა ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერის პროცესებში.

პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისინი ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში და ამავე დროს არიან სხვადასხვა სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალიც.

პროგრამას ემსახურება 7 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც თანამდებობებზე მუშაობენ ბსუ-ს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრი და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- ბსუ-ს დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები. შესაბამისად, დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება. ასევე, ბსუ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მნიშვნელოვანი მიმართულებაა: პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა, სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა, სასწავლო მასალების შემუშავება, მუდმივი განახლება და სრულყოფა, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (გამოკითხვები), ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი (სტუდენტთა ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ), სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზის შედეგი, სტუდენტთა ინტერვიუების შედეგები, მეცადინეობების მონიტორინგის შედეგები, სტუდენტთა კონსულტირება და სხვა აქტივობებს. შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით: სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი და ა.შ.) მონაწილეობა, სამეცნიერო პუბლიკაციები, გამოგონება/პატენტი, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, სამეცნიერო გრანტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართულობა, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა (სამეცნიერო ხელმძღვანელობა) და ა.შ. ეს საქმიანობაც ფასდება ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის შემდგომ საქმიანობაში, მათ შორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დროსაც.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა და განახორციელა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისების მნიშვნელოვანი მექანიზმი. კერძოდ, „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის

გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის“ შესაბამისად, 92083 ლარის ჯილდო გაიცა 2021 წლის შედეგების მიხედვით, მათ შორის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალზე.

ბსუ-ში სისტემატიურად იგეგმება და ტარდება კონფერენციები, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები. აგრეთვე ხდება მათი გადამზადება სწავლების მეთოდებსა და სხვადასხვა ტრენინგების შეთავაზებით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ჩართულია 9 სხვადასხვა საგრანტო პროექტის განხორციელებაში, რომლებიც საინჟინრო მიმართულებითაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- პერსონალის მონაცემები CV;
- ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი;
- ბსუ-ს ბრძანება „2021 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიებისათვის ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისების ღონისძიებების გამოყენების (ფულადი ჯილდოს გამოყენების თაობაზე“.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა ხორციელდება ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არსებულ კეთილმოწყობილ აუდიტორიებში და კომპიუტერული ცენტრებში. ფაკულტეტზე არსებობს რამდენიმე ლაბორატორია, რომლებიც გამოიყენება პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. თუმცა, პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს მატერიალური რესურსების, მათ შორის ლაბორატორიული ბაზის მუდმივ სრულყოფას და განახლებას. ასევე, დასაზუსტებელია სასწავლო კურსების: „ნავთობქიმიის საფუძვლები“ და „ნავთობის და გაზის ქიმია“ ლაბორატორიული მეცადინეობების უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური აღჭურვილობით. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს FABLAB-ის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში შესაძლებელია საინჟინრო ნაგებობების, კონსტრუქციების მოდელირება, მაკეტირება და დეტალირება.

საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება დაწესებულების ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რომლებსაც გააჩნიათ სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ასევე პერსონალური კომპიუტერები. ბიბლიოთეკა მუშაობს სრულად 6 სამუშაო დღის განმავლობაში და ნახევარ განაკვეთზე კვირა დღეს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით გათვალისწინებული დარგობრივი ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფილია პერსონალის და სტუდენტების ხელმისაწვდომობა. თუმცა, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია სამეცნიერო საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო კორპუსში არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, ელექტრონული რესურსები, ელექტრონული ბაზები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ზოგიერთი სასწავლო კურსის განხორციელების ადგილის დაზუსტება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილია მოქმედი პროგრამის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც დათვლილია 100 სტუდენტზე, რეალურად კი პროგრამას 4 სტუდენტი ყავს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის დასახელებაში მითითებულია „სამაგისტრო“, რაც პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით ტექნიკური უზუსტობაა. ასევე აღინიშნა, რომ დოკუმენტი წარმოადგენს სავარაუდო ფინანსურ გათვლას ოთხწლიან პერიოდზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ფინანსური დოკუმენტები. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტის სახით წარმოდგენილია ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი, სადაც ქვეპროგრამის სახით მითითებულია ტექნოლოგიური ფაკულტეტის დაფინანსება 2022 წელს, სადაც გაწერილია, დაფინანსების ღონისძიებები, თანხის მოცულობა, დაფინანსების წყარო, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების ძირითადი ინდიკატორები. შემოსავლის ძირითადი წყარო არის საკუთარი შემოსავლები და გრანტები. ხარჯები კი გაწერილია როგორც შრომის ანაზღაურებაზე, ასევე მივლინებებზე, სახლმძღვანელოების გამოცემაზე, მატერიალური რესურსების, მათ შორის ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესებაზე. არსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ დაადასტურა პროგრამის სრული ფინანსური მხარდაჭერა, მისი აქტუალობის და რეგიონისთვის საჭიროების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“;
- ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> პროგრამის ბიუჯეტში, შემოსავლები აღებული იქნას რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და განისაზღვროს შესაბამისი დამატებითი რესურსები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. აღნიშნული მექანიზმები გულისხმობს უსდ-სა და შესაბამისად პროგრამის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ტარდება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვა. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. კონკრეტულ შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვებში გამოვლენილი გარკვეული ასიმეტრიების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფოკუსირება მოახდინა სასწავლო კურსების მიზნებისა და შეფასების შედეგების გამოყენებაზე, დადგინდა, რომ ერთ-ერთი გამოწვევაა ლოგიკური კავშირების სიცხადე და ინფორმირებულობა. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გააქტიურება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებისა და მიზნების შესაბამისად ფორმირების უზრუნველსაყოფად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (დადგენილება #06-01/138. 30 დეკემბერი 2021 წ.) საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ინჟინერია“ შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მათ შორის დარგის სპეციალისტები, დამსაქმებელი, სტუდენტი და კურსდამთავრებული. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც განსახილველად და შესაფასებლად გადასცა კურიკულუმის კომიტეტს. სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობას კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენელი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში იდენტიფიცირებულია სტანდარტების მიხედვით, როგორც პროგრამის ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი

მხარეები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი - გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები. შესაბამისად მნიშვნელოვანია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა დაგეგმოს და განახორციელოს, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების შესაბამისი აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გააქტიურება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებისა და მიზნების შესაბამისად ფორმირების უზრუნველსაყოფად.
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა დაგეგმოს და განახორციელოს, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების შესაბამისი აქტივობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უკუკავშირსა და გარე ექსპერტის შეფასებას.

„ნავთობისა და გაზის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამას 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #MES 4 20 0000750410 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასების პროცესში გამოთხოვილ იქნა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, რომელიც არ იქნა წაროდგენილი, თუმცა განხორციელებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის გათვალისწინებული პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიური შეფასება გარე შემფასებლის მიერ. რეცენზირებისათვის პროგრამა გაზიარებულ იქნა სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. პროგრამა შეფასებულ იქნა დადებითად, აღინიშნა პროგრამის მნიშვნელობა და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზირების პოტენციალი. ამასთან, გაცემულ იქნა რეკომენდაციები საწარმოო პრაქტიკისათვის განკუთვნილი კრედიტების გაზრდასა და სწავლის შედეგების მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. რეკომენდებულია პროგრამა რეგულარულად იყენებდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს და უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამა რეგულარულად იყენებდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს და უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შესაბამისად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი განვითარებისათვის ხორციელდება პერიოდული შეფასება და მონიტორინგი.

ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი სალექციო მიმდინარეობის და გამოცდების მონიტორინგს, აკადემიური მოსწრების ანალიზს, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას და შედეგების ანალიზს.

პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, განიხილება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, შესწავლილ იქნა ნიქოზიის უნივერსიტეტისა და სხვა

<p>საერთაშორისო უნივერსიტეტების მოქმედი პროგრამები და აღნიშნული გამოცდილების გაზიარების შედეგად, პროგრამის სტრუქტურა მეტად დაუახლოვდა საერთაშორისო პროგრამების გამოცდილებას. სასურველია, შემუშავდეს ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც უფრო ცხადად აჩვენებს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და განვითარების შემდგომ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია, პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის განხორციელდეს, როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმების კომპლექსური გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები; • აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა; • დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; • დადგენილება - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“; • დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; • ანალოგი პროგრამების შესახებ ინფორმაცია; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს კომპლექსურად, როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმების გამოყენებით, პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, შემუშავდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზის დოკუმენტი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) - არა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ნავთობის და გაზის ინჟინერია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ინგა ბოჭოიძე



სახელი, გვარი,

ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

რამაზ პაატაშვილი



სახელი, გვარი,

ხელმოწერა


თამთა ცხოვრებაძე



სახელი, გვარი,

ხელმოწერა

ბაქარ დუაძე



სახელი, გვარი,

ხელმოწერა